

## მანჩესტერის სომხური სახარება

ბრიტანეთში დაცული ქართული ხელნაწერები მეტნაკლებად შესწავლილი თუ არა, ცნობილი მაინც არის ქართული საზოგადოებისათვის. ლონდონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის ბიბლიოთეკებში დაცულია ასზე მეტი ქართული მანუსკრიპტი. ხელთ არსებული მონაცემებით, ბრიტანეთის სხვა ქალაქებში ქართული ხელნაწერები არ ინახებოდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ქართული კვალი მანჩესტერში არსებულ წიგნთსაცავშიცაა, John Rylands-ის ბიბლიოთეკაში. აქ დაცულია 1313 წლის ორნამენტებითა და მინიატურებით გამშვენებული სომხური სახარება [Arm.10,f.258].

საქმე ისაა, რომ აღნიშნული ნუსხა 2007 წელს ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში გამართულ გამოფენაზე იყო გამოტანილი სხვა სომხურ ხელნაწერებთან ერთად. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამი რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამისტური სარწმუნოების – ამსახველი ხელნაწერები. გამოფენის დასრულების შემდეგ გამოსცეს წიგნი (Sacred Books of The three Faiths: Judaism, Christianity, Islam), რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან ხელნაწერთა თითო გვერდის ფოტოპირი შეიტანეს. წიგნში სომხური სახარებიდანაც არის წარმოდგენილი ერთი გვერდი, რომელზეც წმ. გრიგოლი, სომეხთა განმანათლებელი და წმ. ეფრემ ასური არიან გამოსახულნი. მინიატურებს ქართულად, ასომთავრული ასოებით, აქვს მინაწერი ისე, რომ ცალკე მინიატურების ნახვის შემთხვევაში ხელნაწერი ქართულის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. გამოცემაში მინიატურებს მოკლე მიმოხილვა აქვს დართული, რომლის დასასრულს აღნიშნულია, რომ მინიატურაზე ქართული წარწერაა. წიგნში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ასეთი მინიატურები და, შესაბამისად, ქართული წარწერები ხელნაწერში მრავლად არის და არც იმაზე, რომ ზოგიერთ მინიატურებს შორის იკონოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავება იგრძნობა.

მე ჩავედი მანჩესტერში და ვნახე ხელნაწერი, რომელსაც მცირე აღწერილობა გავუკეთე. მანჩესტერშივე მიჩვენეს კატალოგი, რო-

მელშიც აღნიშნული ნუსხაა აღწერილი. სამწუხაროდ, აღწერილობაში ხელნაწერის შესახებ მეტად მწირი მონაცემებია მოტანილი და, შესაბამისად, არც ქართულ მინაწერებზეა საუბარი.

ხელნაწერს, რომელიც 259 ფურცლისაგან შედგება, ხის ტყავგადაკრული ყდა აქვს. გადაწერილია შავი მელნით, სომხურად. დასაწყისები – სინგურით. ხელნაწერის პირველი და ბოლო ფურცელი ეტრატია და აღწერილობაში X საუკუნით არის დათარიღებული. მეორე ფურცელი ორი განსხვავებული ხელით არის ნაწერი. დანარჩენი ტექსტი ერთი ხელითაა გადაწერილი.

წიგნში მოტანილი მინიატურების ძირითადი ნაწილი სახარების ტექსტს თავსა და ბოლოში აქვს დართული, თუ არ ჩავთვლით სამ მათგანს, რომლებიც ლუკასა და მარკოზის სახარებებს შორის ჩაურთავთ.

ძალზე მნიშვნელოვანია განსხვავება, რომელიც მინიატურებს შორის არსებობს. კერძოდ, ის გამოსახულებები, რომლებიც ქართულწარწერიანია, განსხვავდება იმათგან, რომლებიც სომხურმინაწერებიანია როგორც იკონოგრაფიული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ახსნას მოითხოვს. კერძოდ:

თერთმეტ მინიატურას სომხური მინაწერები ახლავს და, ძირითადად, სახარების, ან მასთან დაკავშირებულ სიუჟეტებს წარმოადგენს.

პირველივე მინიატურა ქართულწარწერიანია – წმიდა დავით მეფსალმუნე და სოლომონ მეფე. სოლომონს ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს ბერძნული წარწერით (3v). ამის შემდეგ 4v-დან 9r-მდე არის ათი სომხურმინაწერიანი მინიატურა. ესენია:

1. მოგვთა თაყვანისცემა ბეთლემში;
2. შობა;
3. მირქმა;
4. ბზობა;
5. ფეხთბანა;
6. ლაზარეს აღდგინება;
7. (ამ მინიატურაზე წარწერა ვერ ამოვიკითხე). მინიატურაზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი წმიდანი, რომელსაც სამი ახალგაზრდა კაცი მიეახლება. სამივეს წმიდანის შარავანდედი ადგას თავზე;
8. მენელსაცხებლე დედები მაცხოვრის საფლავთან, რომელთაც ორი ანგელოზი ახარებს ქრისტეს აღდგომას;
9. ამაღლების სცენა;
10. ღვთისმშობელი ყრმით ხელში.

ამის შემდეგ, უშუალოდ მათეს სახარების წინ, 9v-ზე, არის ქარ-

თულწარწერიანი მინიატურა ადამისა და ევას გამოსახულებით სეით-თან ერთად. მინიატურას შემდეგი წარწერა ახლავს: „ევა – დედა ყოველთა; ადამ – მეფე და წინასწარმეტყველი; სეით.

10r-დან იწყება სახარების ტექსტი და მინიატურა აღარ გვხვდება მარკოზის სახარების ბოლომდე.

125v – წმ. სერგის და წმ. ბაქოს მინიატურა;

26r – წმ. კონსტანტინე და წმ. ელენე დედოფალი;

126v – კვლავ სომხურწარწერიანი მინიატურა, რომელზეც მათე და მარკოზ მახარებლები არიან გამოსახულები;

256r – წმ. ავგაროზი და წმ. თრდატი;

256v – წმ. ნიკოლოზი;

257r – წმ. იოანე ოქროპირი და წმ. ბასილი;

257v – იესო ქრისტე და წმ. ეგნატი (ამ მინიატურას ქართულთან ერთად ბერძნულადაც აქვს მინაწერი);

258r – წმ. გრიგოლ სომეხთა განმანათლებელი და წმ. ეფრემ ასური. ეს უკანასკნელი არის ბოლო მინიატურა, რომელიც ხელნაწერის ბოლოსწინა ფურცელზეა შესრულებული.

ხელნაწერს შიგადაშიგ ფურცლები ამოჭრილი აქვს. ამოჭრილია ასევე ბოლოსწინა ეტრატის ფურცელიც. იმის გამო, რომ მანჩესტერის ბიბლიოთეკა არ იძლევა უფლებას მე-16 საუკუნეზე ადრეული ხელნაწერის ციფრული ასლების გადაღებისა, აღნიშნული ხელნაწერის გადაღება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება გამოცემულ მინიატურებს, სადაც წმიდა გრიგოლი და წმიდა ეფრემ ასური არიან გამოსახულნი, მასზე შედარებით ვრცლად შეგვიძლია ვისაუბროთ.

წმიდა გრიგოლ განმანათლებელი საგანგებო სამღვდელმთავრო სამოსშია გამოწყობილი: მოწითალო კვართი, ოქროსფერ, წითელ და ნაცრისფერ ფერებით გაწყობილ ოლარში, ორნამენტირებულ საგვერდულში, შავი ჯვრებით გაწყობილ ფილონსა და წითელი მოზრდილი ჯვრებით გაწყობილ გინგილში. მარცხენა ხელში წმიდა გრიგოლს უჭირავს წიგნი, რაც სიმბოლური ნიშანია იმისა, რომ იგი განმანათლებელია, და მარჯვენა ხელით აკურთხებს. წმიდა ეფრემ ასური საგანგებო ბერულ სამოსშია, შინდისფერი კაბა, რუხი ფერის მანტია, ჯვრით გაწყობილი საბერო ოლარი. ცალ ხელში წმიდა ეფრემს უჭირავს ჯვარი, ხოლო მეორე ხელი აპყრობილი აქვს. თავზე შესაბამისი თავსაბურავი აქვს, შუბლსა და ყელის არეში ჯვრებით. ორივე წმიდანის გამოსახულება ბიზანტიურ ხატწერაში კარგად ცნობილ იკონოგრაფიულ სახეებს წარმოადგენს. ფერები – დამჯდარი. მინიატურა საგანგებო ფერად ჩარჩოშია ჩასმული.

განსაკუთრებით არის თვალშისაცემი ქართული მინაწერები მინიატურაზე: შესრულებულია ასომთავრულით, არაკალიგრაფიული ხელით ნაწერი. მიუხედავად მცირე ადგილისა, ასოები საკმაოდ მოზრდილია. ნაცვლად სიტყვისა „წმიდა“, მოტანილია სიტყვა „წმიდა“ და მხოლოდ ეს ერთი სიტყვაა შემოკლებული. „წა გრიგოლი სომეხთა განმანათლებელი“. ეს წარწერა სრულადაა გაშლილი. არ არის შემოკლებული არც ერთი სიტყვა. მეორე წარწერაა „წა ეფრემ ასური“. აქაც იგივე სურათია.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით მინაწერები მეტად საინტერესოა. ასო „ა“-ს მკვეთრად აქვს მოცილებული თავი. გამორჩეულ თავისებურებას წარმოადგენს ასო „გ“, რომელსაც სამი მომრგვალებული საფეხური აქვს. ზედმეტად მომრგვალებული ფეხი აქვს ასევე ასო „ბ“-ს. ასოების ზომები და მანძილი მათ შორის არათანაბარია. ასოებს აკლია კუთხოვანება. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მინაწერები გადასულია როგორც ეფრემ ასურის შარავანდზე, ისე ჩარჩოს მარჯვენა ნაწილზე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მინაწერის შესრულებისას მინიატურის ჩარჩოც კი დასრულებული იყო.

გასაკვირი ისაა, რომ ეს მინიატურა ჩართულია სახარებაში. ჩნდება ეჭვი, რამდენად სწორადაა ჩართული ეს მინიატურები ამ ხელნაწერში. თუ სწორად არის ჩართული და ნამდვილად ამ ხელნაწერისაა, მაშინ რამდენიმე მომენტი ახსნას საჭიროებს: რა პრინციპით იქნა ამ წმიდანების მინიატურები აქ ჩართული? ხომ არ არის ეს ხელნაწერი განკუთვნილი ე.წ. არაქალკედონიტი ქართველებისთვის ან, პირიქით, ქალკედონიტი სომხებისთვის? საამისოდ, დაწვრილებითაა შესასწავლი როგორც სომხური სახარება, ისე მასში ჩართული მინიატურები.

ჩვენ გვქონდა საშუალება, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში დაცულ სომხურ სახარებებს გავცნობოდით. ქართულ ფონდში სულ დაცულია 38 სომხური სახარება. იდენტიფიცირების მიზნით ყველა მათგანი გულდასმით გადავათვალიერეთ, რამაც შემდეგი სურათი გვიჩვენა:

როგორც ჩანს, ქართული წარწერა სომხურ სახარებებს შორის არცთუ იშვიათი მოვლენა ყოფილა. ჩვენ ფონდში დაცულ, 2 სომხურ სახარებას აქვს ქართული მინაწერები, რომლებითაც მინიატურაზე აღბეჭდილი სცენაა განმარტებული. ხოლო იმ სომხურ ნუსხებში, რომლებშიც ქართული მინაწერი არ გვხვდება, ხშირ შემთხვევაში მინიატურა მინაწერის გარეშეა. როგორც ჩანს, სომეხი გადამწერები, ხშირად, მინიატურას მინაწერის გარეშე ტოვებდნენ.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ფაქტიც იძლევა იმის საკმაო საფუძველს, რომ მანჩესტერის სახარებაზე გაკეთებული ასომთავრული წარწერები მოგვიანო ხანაში მიწერილად მივიჩნიოთ.

განსხვავება მანჩესტერის ნუსხასა და ქართულ ფონდში დაცულ სახარებებში ის არის, რომ ინგლისურ ნუსხას მინაწერი ასომთავრულით აქვს გაკეთებული, რაც ქართულ ფონდში არ გვხვდება. აქ მხოლოდ მხედრული წარწერებია.

რაც შეეხება მინიატურათა ქრონოლოგიას, მანჩესტერის სახარება სხვა სომხური ნუსხების იდენტურია.

ყველაზე მთავარი და არსებითი, რაც აღნიშნული ნუსხების იდენტიფიცირებამ მოგვცა, ის გახლავთ, რომ მანჩესტერის სახარებისგან განსხვავებით, ქართულ ფონდში დაცულ არც ერთ სომხურ ნუსხაში არ აღმოჩნდა ამა თუ იმ წმინდანის მინიატურა. ყველა ნუსხა მხოლოდ სახარების სიუჟეტის ამსახველ მინიატურებს შეიცავს.

ვფიქრობ, უაღრესად საინტერესო იქნება მანჩესტერის სახარებისა და მასთან დაკავშირებული ისტორიის კვლევა, რაც მომავლის საქმეა. აღნიშნული ნუსხის შესახებ აქამდე არ იყო ცნობილი ქართული სამეცნიერო წრეებისათვის. ვფიქრობ, დიდია ალბათობა იმისა, რომ მომავალშიც აღმოჩნდეს უცხოურ (განსაკუთრებით სომხურ) ფონდებში დაცული ქართული ხელნაწერების კვალი.

## The Manchester Armenian Gospel

The Armenian Gospel, dated 1313 and kept in the John Rylands Library in Manchester, contains miniature paintings with Georgian inscriptions, together with Armenian-scripted miniatures. Each miniature with its Georgian inscription portrays the saints, whereas, according to ancient tradition, gospels generally contained miniatures illustrating gospel scenes. This article focuses on the discovery of miniatures with Georgian inscriptions in the Armenian gospel and suggests that they must have been added to the gospel well after it had been written.